ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1063859

ნომერი: AR1187157

თარიღი : 25.12.2013

გაცემის თარიღი : 31.12.2013

გაცნობის თარიღი : 21.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის საცხოვრებელი რაიონი , I კვარტლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კურცხალია პ/ნ 01017013507
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 3 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

2013 წლის 25 დეკემბერს #AR1185157 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებისა და გრაფიკაში შეთანხმებულსა და გასაკორექტირებელ პროექტში განსხვავება არ არის. გამომდინარე აქედან გთხოვთ უფრო ნათლად ასახოთ, თუ რაში მდგომარეობს გრგ–ს კორექტირება;

ასევე წარმოსადგენია გრგ–ში შემავალი ყველა საკადასტრო გეგმა, მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა და განმარტებითი ბარათი დეტალური აღწერით თუ რაში მდგომარეობს გრგ–ს კორექტირება (ხელმოწერილი არქიტექტორის მიერ);

საკადასტრო გეგმების ატვირთვა შესაძლებელია რუკის ცვლილების უფლების ველში, დანარჩენი დოკუმენტაციის ატვირთვა შესაძლებელია დამატებითი მოთხოვნის ან დახარვეზებულ ველში;

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 30 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2013 წლის 25 დეკემბერს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 05 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 25 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.
ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.